

ქართულ ენაზე ფონოლოგიური უნარის შესაფასებელი ტესტის
სტანდარტიზირება

ოლია ქარჩავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის ენისა და მეტყველების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული, პროფესორი, PhD, BCBA

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2021

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ოლია ქარჩავა

22.06.2021

სარჩევი	
აბსტრაქტი	4
Abstract	5
შესავალი	6
ლიტერატურის მიმოხილვა	9
სტანდარტიზირება	9
ფონოლოგია	10
ადრეული კლინიკური შეფასებისა და ინტერვენციის საჭიროება	16
სამეტყველო ბგერების დარღვევა	18
საკვლევი საკითხი	22
ტესტირების პროცედურა	22
კვლევის მეთოდოლოგია	23
შერჩევა	23
ინსტრუმენტი და პროცედურა	25
შედეგების ანალიზი	25
დისკუსია	38
დასკვნა	40
კვლევის შეზღუდვები	41
ბიბლიოგრაფია	42
დანართი	

აბსტრაქტი

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების პროცესების შეფასება, სწორი დიაგნოსტირება და შემდეგ ჩარევის სტრატეგიების დაგეგმვა მნიშვნელოვანია განხორციელდეს სანდო და ვალიდური ინსტრუმენტის მეშვეობით. საქართველოში 2019 წელს კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო კურსის ფარგლებში შეიქმნა ფონოლოგიური უნარის შესაფასებელი სწრაფი სკრინერი, რომელიც მოიცავდა 3 წლიდან 5 წლამდე ასაკის ბავშვების შეფასების შედეგებს. მოცემულმა ინსტრუმენტმა ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტებს საშუალება მისცა მოეხდინათ ფონოლოგიური სირთულეების მქონე ბავშვების შეფასება და დიაგნოსტირება. თუმცა ასაკობრივი ჯგუფები არ იყო საკმარისი ინსტრუმენტის სტანდარტიზებისთვის. შესაბამისად მოცემული კვლევის საშუალებით წინარე კვლევას დაემატა კიდევ ერთი ქვედა ასაკობრივი ჯგუფი.

სწრაფი სკრინერი შედგება 52 სიტყვისგან. სიტყვები და შესაბამისი ობიექტები განთავსებულია ბარათებზე და კვლევაში მონაწილეებმა უნდა დაასახელონ რას ხედავენ მოცემულ ბარათზე დახმარების სხვადასხვა სახეებით. კვლევა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში სხვადასხვა პლატფორმაზე (Zoom, Messenger). კვლევაში მონაწილეობა მიიღო 2:05 წლიდან 3 წლამდე ასაკის ტიპური განვითარების მქონე 40-მა ბავშვმა. კვლევის მნაწილეები შეირჩნენ ზოგადი განვითარების შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც განხორციელდა ASQ-3-ის (Ages & Stages Questionnaires®, Third Edition (ASQ®-3) დახმარებით.

კვლევის შედეგმა დაადასტურა ინსტრუმენტის სტატისტიკური სანდოობა და ვალიდობა. კვლევამ შესაძლებლობა მოგვცა მოგვეჩვენა მოცემული ინსტრუმენტი ქვედა ასაკობრივი ჯგუფისთვის. ფონოლოგიური უნარების შეფასება, სწორი დიაგნოსტირება და ინტერვენციის დაგეგმვა ამ ასაკში მნიშვნელოვანი საკითხია.

Abstract

The most important to assess communication speech and language processes, to diagnose and then create the accurate strategies for intervention, is to have the valid and reliable instruments. For the speech and language therapy master's program, in 2019, Georgia, it was created the fast tool of phonological skills assessment, which included the results of children aged 3 to 5. This instrument gave specialties the possibility to Assess and Diagnose children with phonological difficulties, but the aged groups weren't enough to standardize the instrument. Accordingly, this research gave the possibility to have a new aged group for the test.

Fast screening consists of 52 words. Words and objects are on a card and the participants should say what they see on the card with different types of help. The research was conducted online, using different platforms, such as - zoom, messenger. Participants were 40 typically developed children, aged 2:05 to 3:00. General developing assessment was a criteria to participate in research, which was conducted by ASQ-3 (Ages & Stages Questionnaires®, Third Edition (ASQ®-3) and it gave the clinicians the general idea of a child's development process. The results indicate that, the instrument is valid and reliable.

The research gave us the possibility to adjust the instrument to low-aged group children, because it's crucial to assess the phonological skills, accurate diagnostic and the intervention at this age.

მადლობა

ქვეყანაში არსებული ეპიდ-ვითარებისა და მისგან გამოწვეული ფსიქო-ემოციური მდგომარეობის მიუხედავად კვლევაში ჩართულობისთვის მადლობას ვუხდით ყველა მონაწილეს.